On.ge

გიგა აგლაძე: თბილისში დევიდ ლინჩი ჩამოვა და კინოსკოლას გახსნის

რეჟისორი გიგა აგლაძე, რომელიც დევიდ ლინჩის ფონდის საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენლობის პრეზიდენტად დაინიშნა, ამბობს, რომ სულ მალე საქართველოში ჰოლივუდის ყველა ის ვარსკვლავი ჩამოვა, რომელთა ნახვაც აქამდე მხოლოდ კინოეკრანზე შეგვეძლო.

მისივე თქმით, სამომავლოდ იგეგმება უნივერსიტეტის შექმნაც, სადაც დაინტერესებულ პირებს საკუთარ სფეროში წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ.

"ვისაც კინემატოგრაფიასთან რაიმე ტიპის შეხება აქვს, მან კარგად იცის თუ ვინ არის დევიდ ლინჩი. პირველად მოხდა ის, რომ გაიხსნა ასეთი ფონდი, რომელსაც მხოლოდ ფონდის სტატუსი არ ექნება და იმუშავებს რამდენიმე მიმართულებით - გენდერული თანასწორობის საკითხზე, ბავშვთა დახმარების და ვეტერანების რეაბილიტაციაზე. გარდა ამისა, სულ მალე გაიხსნება უნივერსიტეტი, სადაც კინოს მწარმოებლებს საშუალება ექნებათ შეხვდნენ დიდ ვარსკვლავებს, რომლებიც ჩვენთან ჩამოვლენ. ასევე დაიგეგმება ამერიკაში ვიზიტები და ადგილზე შესწავლა ყველაფრის. ჩვენთან ჩამოვა ყველა ვარსკვლავი, ჯიმ კერიდან დაწყებული ყველა ის მსახიობი, რეჟისორი ვისაც კარგად ვიცნობთ ეკრანიდან, რადგან ლინჩის ფონდში უამრავი კინოვარსკვლავია გაწევრიანებული. გახსნაზე აუცილებლად ჩამოვა თვითონ დეივიდ ლინჩიც, ამაზე თავიდანვე იყო მოლაპარაკებები", - უთხრა On.ge- ს აგლაძემ.

აგლაძის თქმით, საქართველოში ლინჩის აკადემია ფუნქციონირებას ერთ თვეში დაიწყებს.

GIGA AGLADZE: DAVID LYNCH WILL ARRIVE IN TBILISI AND WILL OPEN A FILM SCHOOL

The film director Giga Agladze, who was appointed as a president of David Lynch Foundation Georgia and Azerbaijan Representative offices says that very soon Georgia will be visited by all those movie stars whom we could see only on our TV screens.

According to him establishment of the university is also included in the future plans where the interested persons will be able to meet successful people from their sphere.

"Anyone who is somehow related to the films, knows who is David Lynch. This is the first time that such Foundation has been established, which will not have only a status of a foundation and will be working in several directions – gender equality issues, children's and veterans' rehabilitation programs. Besides a university will be opened very soon where the film producers will have opportunity to meet big stars who will be visiting our country. As well as travel to USA will be planned in order to proceed some kid of learning on the place. All those stars and film directors who are very well known to us starting with Jim Carrey will arrive in our country, as very many movie stars are members of David Lynch Foundation. David Lynch himself will also arrive at the opening of the University, as the negotiations on this are being held from the very beginning", - Announced Agladze to On.ge.

According to Agladze Lynch's Academy will start working in Georgia in one month.